



## პაკო ამირან სვიმონიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია „ამირანი“

მეექვსე საავტორო სკოლის ინიციატივით, დაარსდა ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, მეექვსე საავტორო სკოლის დამფუძნებლისა და პედაგოგის, პაკო ამირან სვიმონიშვილის სახელობის საყმაწვილო ლიტერატურული პრემია „ამირანი“, რომლის მიზანია შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი პიროვნული და შემოქმედებითი წინსვლის მხარდაჭერა.

პროექტი გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეებისათვის, რომლებმაც საკონკურსოდ უნდა წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო პოეტური ნაწარმოები
- საუკეთესო პროზაული ნაწარმოები, ესსე
- საუკეთესო თარგმანი

✓ *შენიშვნა: აუცილებელია თარგმანს თან ერთვის დედანი (ორიგინალი ნაწარმოების სკანირებული ვერსია ან ასლი, ან მითითებული იქნას მისი ელექტრონული მისამართი ვებ-სივრცეში, ასეთის არსებობის შემთხვევაში).*

მოსწავლეთა ნაშრომებს განიხილავს კომპეტენტური ჟიური. მაქსიმალური ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, პროექტით გათვალისწინებულია არა მხოლოდ ჟიურის წევრების, არამედ თითოეული მოსწავლის ანონიმურობის დაცვა, კერძოდ, მათთვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭების გზით.

კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე ჟიურის წევრები პირადად შეხვდებიან და გაესაუბრებიან საუკეთესო ნაწარმოებების ავტორებს.

პროექტის ავტორებისა და მხარდამჭერების მიერ გამარჯვებულთათვის დაწესებულია სოლიდური ფულადი პრემია და ფასიანი საჩუქრები.

გამარჯვებულები თითოეულ ნომინაციაში (პოეზია, პროზა, თარგმანი) გამოვლინდებიან 2 ასაკობრივ ჯგუფში:

**I ასაკობრივი ჯგუფი - VII-VIII-IX კლასები**

I, II, III ადგილები - ფასიანი საჩუქრები

**II ასაკობრივი ჯგუფი - X-XI-XII კლასები**

I ადგილი – 3000 ლარი

II ადგილი – 2000 ლარი

III ადგილი – 1000 ლარი

ფინალისტებისა და, ასევე, სხვა საუკეთესო ნაწარმოებების ავტორების ნაშრომები დაიბეჭდება და გამოიცემა წიგნად პარტნიორი გამომცემლობის მიერ.

წიგნში შესულ ავტორებს, პროექტის ფარგლებში, შესაძლებლობა მიეცემათ შეხვდნენ და კონსულტაციები გაიარონ ცნობილ ქართველ მწერლებთან, პოეტებთან და მთარგმნელებთან.

ნაშრომების მიღების ბოლო ვადაა **2015 წლის 31 მარტი**. გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება **2015 წლის მაისში**.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ნაშრომების მიღება წარმოებს ელექტრონულ მისამართზე: **amirani.premia@gmail.com** ან ფოსტით: **მეექვსე საავტორო სკოლა, ლადო ასათიანის ქ. N28, თბილისი 0105**.

*შენიშვნა: აუცილებელია, კონკურსანტმა მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი, ქალაქი (რაიონი,) სკოლა და საკონტაქტო ტელეფონი.*

საკონტაქტო ინფორმაცია:

**მეექვსე საავტორო სკოლა**

ლადო ასათიანის ქ. N28, თბილისი 0105

Tel ++995 322 14 53 59

W <http://meeqvsesaavtoro.ge>

f მეექვსე საავტორო სკოლა - ოფიციალური გვერდი

Mail [amirani.premia@gmail.com](mailto:amirani.premia@gmail.com)

M 599 29 74 61, 593 26 13 93, 597 11 02 20